


ს ა ლ დ გ ო მ ო



საპოლიტიკო, საზოგადოებრივ და სალიბერალურ ნახაზებშიანი გაზეთი გამოდის ქოველ კვირა ღღმს.

№ 16

ა პ რ ი ლ ი 18 1899 წ.

№ 16

შინაარსი: სააღდგომო. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — ცდომილი — ლექსი დ. თომაშვილისა. — ძალა უძლეურებაშია! ნ. ელიავასი. — შენიშვნა ერთი მუშათაგანისა. — შარშანდელი „გეგვილის“ კრიტიკოსი (შემდეგი) ივ. გომართელისა. — ლია წერილი ბ. გ. წერეთელს აღ. წულუკიძისა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ს ა ლ დ გ ო მ ო

ქრისტე აღდგა! — აი, რით ეგებება ღვთაებრივ ღვთს საქრისტიანო ერი.

ქრისტე აღდგა — ეს არის აღდგომა და განმტკიცება იმ აზრის და მოძღვრების, რომელსაც ქრისტე ქადაგებდა; ეს არის ცნობა აზრის ძლიერებისა და იმის შეუზღველობის, სულის სიძლიერის და თავგანწარულობის; ეს არის სასოება ტვირთმძიმეთა და იმედი ჩაკრულთა. აღდგა ის, რის დამარხვაც მოიწადინეს ძლიერთა ამა სოფლისათა; წამოდგა ის, რის განადგურებასაც შეეცადენ მმართველნი ქვეყნისანი; აღორძინდა ის, რის დათრგუნვა განიზრახეს უფროსთა ხალხისათა. ხალხისთვის თავდადებული დისაჯა, ხალხისათვის მოვლენილი უარპყვეს, ხალხის გაჭარბების შემძსუბუქებელი არ იცნეს. რატომ, რისთვის? იმიტომ რომ, ის შეებრძოლა იმას ვისაც „უყვარს ზემო-ჯდომა სერსა ზედა და პირველ ჯდომა შესაკრებელთა შორის“; იმან ამხილა ის ვინც „საქმესა იქმს საჩვენებელთა კაცთა“; იმან ხელი დაადგა იმას, ვინც „შესჯამდეს სახლებსა ქერიეთასა“. და აი, ყველა ეს შეერთდა, შეკავშირდა და წინააღმდეგ მქადაგებელს,

წინააღმდეგ იმიტომ, რომ დაეცვა პირველს თავისი ბატონობა, მეორეს თავისი ფარისევლობა, მესამეს თავისი ქონება. პატივმოყვარეთ, ფარისევლთ და მდიდართ ერთმანთ დაძახეს: თავს ეუშველოთ, ინგრევა ჩვენი საბრძანებელიო! მარა მათ ვერაფერა უშველა, ვერც ფულია ზოქრო-ვერცხლმა, ვერც ღვინამ ზოქალ-მომრეობამ. ახალი აზრი ერთელ გამოთქმული და შესაფერ ნიადაგზე მოპნეული თან-და-თან გაიზარდა, გაღვივდა და გამძლავრდა. შეირყა უფარგისი წყობილება, შეინგრა ძველი უსწორ-მასწორობა, შეშფოთდა გაბატონებული საზოგადოება. და აი, ბედნიერი შეუდგა თავისი ბედნიერების დამაგრებას და უბედური აღთქმული ბედნიერების მოახლოებებს. მდიდარი და ღარიბი, დიდი და პატარა, ახალგაზდა და მოხუცი ერთმანეთს დაეტაკენ. ატყდა სამკერო-სასიკოცხლო ბრძოლა. ახალმა მიმართულებამ ჩამოაგდო შუღლი და განხეთქილება, ახალმა აზრმა გამოიწვია სრული არე-დარევა და ამ საერთო არეულობისაგან იშვა ახალი წყობილება, აღმოცენდა ახალი ურთიერთობა და განახლდა საზოგადოებრივობა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ მიიღო ნებართვა გამართოს თავის სასარგებლოთ სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრით. სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს და ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს, შემოწირულობა უნდა გაუგზავნოს კნ. ოლლა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოზის ქ. № 21.

ქართული ღრამატ. საზოგ. გამგეობამ გადაწყვიტა შეაესოს საზოგადოების ბიბლიოთეკა ახალი თუ ძველი კ.ესების მოპოებით. ამისათვის მიმართავს ყველას და თხოვს შემოსწირონ პიესები რა ენაზეც უნდა იყოს იგი. შემომწირველთა სია გამოცხადდება გაზეთებში. ეს საქმე მიენდო გამგეობის წევრს ბ. პ. ყიფიანს, რომელმაც თავისი ფრანგული პიესები საზოგადოებას დაუთმო.

20 აპრილს, აღდგომის მესამე დღეს, ქართული საერო ხორო ალ. კავსადის ლოჯბარობით გამართავს კონცერტს. ხორო შედგება 50 კაცისაგან, პროგრამა შევსებულია ახალი სიმღერებით.

თფილისის გუბერნიის თაყვად-აზნაურთა საგანგებო კრებამ სხვათა შორის დაადგინა: ეთხოვოს თფილისის სათაყვად-აზნაურო ბანკის გამგეობას იშუამდგომლოს ბანკის მომავალ კრების წინაშე, რომ ბანკის ამ წლის მოგებიდან შეწირულება გადაიდოს რუსეთის დამშეულთათვის. ამავე კრებამ დაეალა თ. ი. გ. ჭავჭავაძეს, შეადგინოს წესდების პროექტი შესახებ იმისა, თუ როგორ იქმნას მოხმარებული ბანკიდან დასაბრუნებელი სათ-ვადაზნაურო თანხა.

ქ. თფილისის ინჟინერის გამოანგარიშებით საქიროა დაინარჯოს ათ მილიონ ნახევარი მან., რომ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა და კეთილგანწყობილება შესამჩნევად გაუკეთესდეს.

ქუთაისის სათაყვად-აზნაურო ბანკის ოპოზიციას კანდიდატთ ბანკის გამკრს თანამდებობაზე წამოუყენებია ნაფიცი ვექილი თავ. დ. მ. ლორთქიფანიძე.

უმაღლესი ბრძანების თანახმად, თფილისის და ქუთაისის სათაყვად-აზნაურო ბანკებმა შემდეგი ცვლილება უნდა შემოიღონ: საჯარო ე-ჭრობის ორი თვის წინეთ მსესხებულს დაზღვეული წერილით უნდა გააგებინონ დრო ეაჭრობისა და რაოდენობა ვალისა, რომლის გამო მამული ეყიდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმ ხარჯების დასაფარავათ, რომელიც ჩვენში საბეთალო ნაწილს მოუხდა, გადაუწყვეტია ამიერ კავკასიაში შემოიღოს გადასახადი მომუშავე საქონელზე. ჩვენში მომუშავე საქონელი დაფასებულია ამნირათ: ბარში მომუშავე, ხარი — 40 მ., ძროხა—30 მ., დეკეული, მოზვერი და სხვ.—15 მ., ხბო—7 მ., ხარ-კამეჩი — 60 მ., ფურ-კამეჩი — 50 მ., და სხ. მთის საქონელი უფრო იაფათ არის დაფასებული. გარდასახადი დაედებათ ორი პრაცენტი. ასე რომ მარტო ქ. თფილისის გადასდება 32 ათასი მ., რადგან აქ 50 ათასი სული სხვილ ფეხი საქონელი იკვლება. აგრეთვე დიდი გადასახადი დაედება ქ. ბათუმს, ბაქოს და სხ. დიდ ქალაქებს. ამ შემთხვევაში ხორციც გაძვირდება, რასაკვირელია.

„ახ. მიმ.“ სიტყვით მთავრობამ განკარგულება მოახდინა გულაუთის (აფხაზეთშია) ცარიელი ადგილები გაყიდულ იქნას „ტორგით“ შენობების ასაგებათო. ყიდვის მსურველნი უფრო რუსები ყოფილან.

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ამიერ კავკასიის გადასახადთა სიტემა შეცვალოს, ისე რომ, გადასახადი კომლზე გააუქმოს და სამაგიეროთ მაწას დაადვას.

13 ამ თვეს მხსდა სამხუკ წიგნების გამოცემელ ამსხანგობის წევრთა საზოგადო კრება. როგორც ანგარიშიდან ჩანს გასულ წელს ამსხანგობას შექმსულია 7,870 მ. 89 კ. სოფლო დაუსწრჯათ 7,423 მ. 18 კ. გასული წლის განმავლობაში გამოუციათ 12 წიგნი, ამათში 5 მეცნიერულ ზოპუღიანრული, და 7 ბულებტი-სტუღი შინაწლის. ათი ყოფილა თანგმანი, სოფლო ორი ორიგინალური. იმავე წელს ამსხანგობისთვის მოსკოველ ვაჭარს ზოდოსიანცს შეუწირავს ათათასი მ. იმ შიგნობით, რომ ამ თანხის ნახევარი დადვას ხელ-შეუსებულ თანხათ და მისი ზრტენტი ყოველ ორ წელში ჟილდოთ მიეტყვას იმას, ვინც სამხუკ ასალ დიტეკატუტის და ისტორიის შესახებ საუგეთესო თხზულებას დაწეკს სამხუკ ენაზე. სოფლო მეორე ნახევრით უნდა გამოიცეს საყმსწიღლო და სხასხლო წიგნები. კრებამ დაადგინა: ამსხანგობის გამოცემა; ღირებუღი ანა უმეტეს 8 მანეთისა მუქათთ მიეტყვას თვითოეულ წეკს ყოველ წელს.

ჩვენ მივიღეთ: „სასალხო წიგნი“ № 11., რომელიც შეიცავს იღია ქავჭავაძის ზოქმას „მუჟე დიმიტრი თავდაღებუღი“. წიგნავს დაწთუღი აქვს ავტორის სუტათიცი და დიკს ერთ შავათ.

„კვალის“ კორესპონდენციები.


ბ. პათომა. ორშაბათს 12 აპრილს მოხდა ბათომის საბჭოს მორიგი კრება. სხვათა შორის მოხსენება იყო კვირა უქმეებში ვაჭრობის საეკლდებულო დაწესებულებათა შესახებ, კერძოთ იმ კითხვს შესახებ, მიეცეს თუ არა ნოქრებს თავისუფლება. თვით საბჭო არსებული წესდების მომხრე იყო ე. ი. დაიკეტოს მალაზიები წირვის გამოსვლამდის, შემდეგ გაიღოს ორ საათამდის და შემდეგ კიდევ დაიკეტოს მეორე დღემდის. ერთმა ხმოსანთაგანმა კი ის აზრი გამოთქვა, რომ რადგანაც მთელი ექვსი დღის განმავლობაში ნოქარი შეუწყვეტლათ ტრიალებს, და ერთი საათითაც დასვენება არა აქვს, დიდი უსამართლობა და უკანონობა იქნება, რომ წლის განმავლობაში 48 დღე კვირა და „ათორმეტი“ დღესასწაულებში სრული თავისუფლება არ მიეწიკოთო. მართალი რომ თქვას კაცმა, ზემოხსენებულ ხმოსანს, მეტადრე ქუთათურების გადაწყვეტილებით გულ გატეხილს, წინდაწინვე გადაწყვეტილი ჰქონდა იმედი, რომ ეს კითხვა სასურველათ არ გადაწყდებოდა, მარა კითხვის ამ სახით წამოყენება მაინც საინტერესოთ ჩათვალა, თუნდა მარტომისთვის, რომ გამოამჟღავნებულყო, თუ სადგაწყდებოდა. მარა, პატივი ბათუმის საბჭოს, რომ ღირსეული მოწესრიგის სმალღებზე დარჩა და წინადადება მიიღო. რასაკვირველია პროტესტი აქაც მოისმა, რა თქმა უნდა, იმ მხრიდან, რომელსაც ამ კითხვამ პარდაპირ კულზე ფეხი დაადგა. ბ. საბაგემა ზღ დიმიტრიადიმ სასტიკი წინააღმდეგობა გამოაცხადეს, მარა საბჭომათ არ დაეთანხმა.

ყველა-ყველა, მარა რატომ პეტერბურღში არ არსებობს ასეთი დაწესებულება? — თქვეს მათ. — პეტერბურღში მსხვილ ვაჭრებს „დუჟინობით“ ჰყავთ ნოქრები, რომლებიც უქმე დღეებში რიგ-რიგათ იცვლებიან და ამ გვართ საშუალება ეძლევათ თავისუფლება იკემონ, აქაური მალაზიები კი თითო ოროლა ნოქრების თავზე ტრიალებს და მწნ დღის განმავლობაში მუდამ ფეხზე უნდა იდგეს. ლონდონში ცოტა მეტი მოძრაობა კი უნდა იყოს ბათუმზე, მარა წარმოიდგინეთ, რომ კვირას იქაურ მალაზიებში სამარისებური სიჩუმე მეფობსო — მიუგეს მოწინააღმდეგეებმა. ეს კითხვა ადგომით გადაწყდა. და... ხომ მოგეხსენებათ, ისე გამოიცვალა დრო, რომ საჯაროთ — აშკარათ თავის რეტროგრადობა ცოტა არ იყო „რისკიანი“ გამოსაცხადები დარჩა. სრული იმედი გვაქვს, რომ საბჭოს გადაწყვეტალება ადრე შეეცა ძალაში, ხოლო ნოქართ ეუსურვებთ ამით რიგინათ იპარკებლონ და ეს დრო მოქალაქობრივი თვითცნობი-

ერების შემუშავებას, თავის ინტერესების შეგნებას მოანდომონ.

შეკლეა.

ს. ნიგოთი. (ოზურგეთის მახრა) საზოგადოთ შენიშნულია, რომ სოფლის მოხეღეები და უმეტესათ მამასახლისები ირჩევა მცხოვრებთა უმეტესობის სურვილის წინააღმდეგ, ზოგ გავლენიან ვაჭბატონთაგან. ეს აზრი სრულეობით გამართლდა ნიგოთზე. ნიგოთლები პარველიდანვე ცნობილნი იყვენ, როგორც ხალხი მშვიდობის მოყვარენი და სწავლავანათლების მიმდევარნი. თანახმათ ამ თვისებისა მოსალოდნელი იყო, რომ მამასახლისათ აერჩიათ ისეთი კაცი, რომელიც სწავლავანათლებას ხელს შეუწყობდა, და თანაც საზოგადო კეთილ დღეობაზე იზრუნებდა. მარა ნამდვილათ კი ამის წინააღმდეგი მოხდა, აირჩიეს ისეთი კაცი, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდა, უკაცრავათ საზოგადოებას კი არ აურჩიეია, არამედ რამდენიმე გავლენიანმა პირმა ანუ უკეთ რომ თქვათ მანვე (მამასახლისმა) აირჩია თავის თავი. დაიწყო თუ არა ამ ვაჭბატონმა სამსახური მაშინვე დგენა დაუწყო აქაურ შეგნებულ პირებს. ეს მისი ამბები ვაზეთშიაც კი გამოიტანეს, ამ გარემოებამ მთლათ გააბოროტა ეს ვაჭბატონი. მან ახლა მიიშველა იქაური გავლენიანი პირები და შეერთებული ძალით, უფრო სისტემატიურათ დაუწყო დგენა, არა მარტო შეგნებულ პირთ არამედ ყველა იმათ ვინც ცოტათი მაინც მიისწრაფოდა განათლებისაკენ. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ამ შეგნებულ პართა შესახებ „დანოსიც“ კი გაიზაუნა მთავრობასთან, რომელშიაც მათ ათას გვარ ბრალს დებდენ და ცილს წამებდენ. მარა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ყველა ეს ბრალდება ტყუილი იყო. მამასახლისმა და მისმა დამკავებმა განაგრძეს თავისი დგენა და ამან განახეერა სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვი. ყოველივე საზოგადო საქმე სოფლისა უკან-უკან წაეიდა. არ ვაკეთებულა არც ერთი საქენი გზა. წინ წლებში ნიგოთლებს არას დროს არ დარჩენიათ „ნელომკა“, ამ უკანასკნელ წლებში კი ორი ათას მანეთამდის აეიდა. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება დაბადა სოფელში მამასახლისის მიმართ. საზოგადოებამ მას უჩივლა ბოქაულთან და მოთხოვა მამასახლის ანგარიში. ფული ბეერი აუღებელი აღმოჩნდა და ბეერიც მამასახლისის ხელში, მარა „ანგარიშის გასწორება“ მაინც არ მოხერხდა. აქედან რომ არა გამოვიდარა, ზოგმა, საზოგადო საქმისადმი გულ შემატკივარმა პირებმა, მიმართეს კერძო საჩივრებს და უჩივეს მამასახლისის ფულის შექმნაზე, მექრთამეობაზე, სიმთვრალეზე, ნარდკარტის თამაშზე და სხვა. მარა გამოქაების დასრულე-



ბა არ იქნა. ხოლო რაც გამოიძიეს იმის ძალით კი მამასახლისი ვერ გადააყენეს. ამან გაათამამა ეს ეაფ-ბატონი და კვენხით ამბობს, საჩივრები მე მამაგრებ-სო, მამასახლისობიდან გამოსვლა მინდოდა მარა რა-კი მიჩივლეს აწი ჯინზე არ გამოვალო. ახლა არის ერთი საჩივარი გამოსაძიებლათ, რომელმაც შეძლე-ბა შეარყიოს ტანტი ამ ეაფბატონისა, მარა გამოძიე-ბის დასრულებას არა ეშველა. როგორც ამბობენ მას საჩივარი შეუტანია მაზრის უფროსთან თავის მომ-ჩივნებზე, სადაც ათას გვარ ცოლს წამებს მათ. მო-წმებთ დაუნიშნავს სულ თავისი დამქაშები. აპით უნდა გააუქმოს ის საჩივარი რომელშიაც მრავლათ არის მოხსენებული მისი ბოროტ მოქმედებანი, და რომ-ლისაც მას ეშინია. მას შემდეგ რაც ხსენებული მა-მასახლისი დადგა ქურდობა გახშირდა ჩვენში: მოი-პარეს ექვსამდის ცხენი, თითქმის ამდენი სხვა მსხვი-ლი ოთხფეხი და სხვა ბევრი საოჯახო ნივთები. ჩვენ ერთხელაც არ შეგხვედრია, რომ მამასახლისს ამე-ბის აღმოაჩინათ გულ-მოღვინეთ ემოქმედოს (ეს იქიდანაც ჩანს რომ არცერთი დაკარგული საქონელი არ აღმოუჩინიათ). გზები ისეთია, რომ „ბედაური“ ვერ გაატანს, მარა ამისთვის მას თავი არ შეუწყუბ-ნია, ერთი კენჭიც არ დაუგდია. სოფლის ბოგირები მუდამ ჩანგრეულია. რაც შეეხება საერთოთ საზოგა-დოების შეურაცხყოფას არ დაუკლია, და კერძოთ ვინც დაიჯახნა ნაობახის გემო უჩვენა. ამდენს არ ვი-ლაპარაკებდით აქაურ მამასახლისზე, რომ ის არიყოს წინამძღვარი ერთი ისეთი საზოგადოებისა, რომელიც დიდ ეკონომიური კრიზისშია. ხალხს სულს უხუ-თავს საზოგადო სიღარიბე, მოუსაველობა, რაც მო-დის იმისი უფასობა, ათას გვარი მოთხოვნილება, გარდაახადები და სხვა-და-სხვა, ერთი სიტყვით ყო-ველ მხრივი შევიწროება. ამასთან საჭიროთ მამაჩნია აღვნიშნო, ერთი აქაური მცხოვრების ბ. კ. კალან-დარიშვილის ქველ-მოქმედური მოღვაწეობა, ეს პა-ტიესაცემი კაცი, დიდი ენერგიით ცდილობს, რომ სოფლის მცხოვრებს დაანახვოს თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლას, სამკითხველოს. დიდი თანაგრძნობით ეპყრობა ყოველ კეთილ აზრებს და თავგამოდებით ცდილობს, რომ საზოგადოების ეკონომიური მხარე არ იქნას დაზარალებული აქაურ ზოგიერთ ჩარჩმოვა-ჭრებდასაგან.

P.R. ამ დღეებში, როგორც შევეიტყეთ, ბატონ მაზრის უფროსის თანაშემწევს წერეთელს უკვე დაუწ-ყია ნიგოთის კანცელარიის და მათი მახელებების რევიზია; იმედია ბ. წერეთელი ყოველივეს აღმოაჩენს და სინამდვილით განიხილავს ნიგოთის აწეწილ სა-ქმეებს, რაც დიდ შემწეობას მისცემს სოფლის მცხოვრებთ.

სოფელი.

სოფ. საგარეჯო (თფილისის მაზრა). სოფელი საგარეჯო მდებარეობს აღმოსავლეთით ქალაქ თფი-ლესიდან ორმოცდა რვა ვერსზე და შედგება თითქ-მის ათას-ორასი კომლისაგან; მათ შორის საპი წილი ქართველია და დანარჩენი კი სომხობა. დიდი ხანია, რაც გარეჯელებს უკმაყოფილება აქვთ სხვა ახლო-მახლო მყოფთ სოფლებებთან, ესე იგი გიორგი-წმინდლებთან და ნინოწმინდლებთან მამულის თა-ობაზე, ამათ ფლობელობაში იყო მამა-პაპიდან-ვე დაწყებული დღევანდელი საეკლესიო ადგილი, წმიდა მამა დავით გარეჯის მონასტრისა, რომე-ლიც არ იყო ურთიერთა შორის დაყოფილი, რის გამოც ერთმანეთში უკმაყოფილება ჰქონდათ. თი-თქმის საქმემ იქამდის მიაღწია, რომ შარშან, დამ-დეგ თიბათვეში, გარეჯელებმა ჩხუბის დროს მოჰკ-ლეს ერთი გიორგიწმინდელი გლეხი. სიმრავლით გა-რეჯელები სამჯერ მეტი არიან გიორგიწმინდლებ-ზე და ნინოწმინდლებზედაც, რის გამოც ყოველთვის ჯობნიდენ ამ საწყალ ორივე სოფლებებს.

ბოლოს ამ უკანასკნელმა საქციელმა მიიქცია ყურადღება, და მთავრობის განკარგულებით თითოე-ულ სოფელს თავ-თავის მიწა-ადგილი მიენიჭა. სოფ. საგარეჯოელებს კიდევაც ჰყავთ მოწვეული თავის ხარჯით კერძო მიწის მზომელი ბ-ნი უთნაშვილი, რომელიც შეუდგა თავის საქმეს პირველ მარტიდან ღე უნაწილებს მცხოვრებლებს, კომლებრივ ადგილს, რა-ზედაც დიდი მოხარული არიან ყველა აქაურნი.

სოფ. საგარეჯოში ახლა არის ორი სასწავლე-ბელი; ორ-კლასიანი სამინისტრო და —ერთიც საე-პარქიო, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი ას სამოც-და ათამდე იქნება.

ღმრთებით გაჭყეული.

ქ. ლდესა. აქ გემების დაცლა-დატვირთვა წინეთ იჯარით ჰქონდა აღებული ა. ნ — შეილს. მისი ადგი-ლი დღეს ს. კეთილაძეს აქვს დაჭერილი. მუშები კი, ათასჯერ უარეს მდგომარეობაში არიან. ბ-ნ ს. კეთილაძეს აქვს აღებული 5 მან. და 25 კ., ე. ი. რამდენ ათას ფუტს დაცლიან მუშები, იმდენი 5 მ. 25 კ., უნდა მიიღოს მან როსისის საზოგადოებისა-გან. მის წინა მოადგილეს კი 6 მ. ჰქონდა აღებული. კეთილაძემ ამ ფუტებით უნდა გაისტუმროს მუშებს გარდა სხვა დანარჩენი მოსამსახურეებიც: სტაროეები,

საქონლის მიმღებლები, „მარკირეშნიკები“ და სხვები. ა. ნ — ლის დროს მოსამსახურების გასტუმრებას თითონ საზოგადოება კისრულობდა, ასე რომ კეთილადე 1 მ. 50 კ. ნაკლებს იღებს, ვინემ მისი წინამოდგილე. რაც კეთილადეს უნდა მოეგო თვითონ საზოგადოებას რჩება. რამდენი რჩება? ვთქვათ დღეში ათი ათასი ფუთი გააკეთეს. ათასზე იგებს 1. მ. 50 კ. ათი ათასზე 15 მან. ასეთ დაკლებულ ფასში მხოლოთ კეთილადისთანა კაცს თუ შეეძლო აღება, თვარა სხვა ყველა წააგებდა. რისთვის მოიქცა ასე კეთილადე? ეს კონკურენციის ბრალია. მის გარდა სხვებიც იყვენ მთხოვნელები. მხოლოთ კეთილადესთანა გამოქვეილობა უნდა ჰქონებოდა სხვას, რომ ასე მცირე ფასში გაებნდა აღება და რადგანაც ეს არაეის არ ჰქონდა, ამისთვის მასვე დარჩა. რა უნდა ქნას ამ მცირე ფასით კეთილადემ? თუ მუშებს ღირებული ფასი მისცა, მაშინ მას არაფერი დარჩება, პირ იქით თავის ჯიბიდან უნდა დაადვას, თუ დააკლო მუშებს (ორასამდე მუშაა, და თითოს რომ 5 კაპ. დააკლოს 10 მ. იქნება) მაშინ თითონ მოიგებს. სწორეთ ეს ჰქონდა სახეში, როცა ის თხოვნას აძლედა საზოგადოებას; და არც იმედი გაცრუებია. ძველ მუშებში ზოგმა ვერ გაძლო მის ხელში და მოშორდა, ზოგი მასთან არის, სხვაგან წასავალი ფული არ აქვს და უფულოთ გემში არაეინ ჩასვამს. კეთილადემ კი კაი ხანია ააკრა განცხადება: „დღეს არც ერთი მუშის გაშვება არ შეიძლება, ვისაც წასვლა გინდათ, ბილეთი აიღეთ“. არც ერთ სხვა მოიჯარადრეს ეს არ უქნია. ყველა უფასოთ გამგზავრებაზე იყო მიჩვეული და დღეს კი „მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხი“, იმ განსხვავებით რომ სომეხი კი არ მოსულა, მოვიდა მეზობელი, სახლიკაცი, ბატონი კეთილადე. მოგეხსენებათ რომ რამდენიც მეტი მუშა ხელი მიაწყდება ფაბრიკა-ზავოდის კარებს, იმდენათ ნაკლებია დღის ქირა. ამით იხელმძღვანელა ბ. კეთილადემ და შეუთვალა ერთ ვილაც ნაცნობს, მუშები გამოგზავნე რამდენიც იშოვო, შენ გასამრჯელოთ ჯილდოს მიიღებო. ამ ვაჭბატონმაც ადგა და 45 კაცი — გურულები ზე მიაყენა კარებზე, როგორც შენ გინდა ისე მოეპყარი, მხოლოთ მე კი ჩემი უნდა მომცეო... თვე ნახევარია ჯამაგირი არ დაურვიგებიათ. მხოლოთ ერთხელ ათ-ათი შაური დაარიგა და მეორეჯერ თითო მანათი, ეს არის და ეს. თურმე ასე ნაწილ-ნაწილათა ცოდნია ფულის დარიგება ბ. კეთილადეს. ამას წინეთ რალაც „რასხოტნი კნიჟკები“ შეაძლოია მუშებს და ვალდებულათ ხდიდა მიელოთ. აი რა ეწერა შიგ: მოვალე ვარ ერთი წლის ვადით თქვენთან ეიყო, არ მოგშორდე და მუდამ ეიმუშავო და სხ. აქ ჩამოთვლილია ხუთ-ექვს ნაირი „შტრაფი“ რომელიც მუშამ უნდა

გაღიხალოს. ეს მუშებმა არ მიიღეს. ვინც დღიურათ მუშაობს იმას კვიტანცია ეძლევა; კვიტანცია ამ გვარია: 7 мая 1899 г. Артельному рабочему Платону Кутубидзе за работу 75 к. упр. С. Кетиладзе. ხოლო მეორე გვერდზე აწერია: Безъ предъявления расчетной книжки сѣя кон-трамарка не дѣйствительна“. ცხადია ამით უნდა განდღეს მუშა იძულებული ზემოთ დასახლებული „კნიჟკა“ მიიღოს და მის მუხლებზე ხელი მოაწეროს. 45 ახლათ ჩამოყვანილ გურულ მუშებში 15 უკან წავიდა. დანარჩენი 30-ში შვიდი საეათმყოფოშია.

ბ. პაჭბალესძე.



ც დ ო მ ი ლ ი .
(გუძღვნი მ.—ქეს).

I.

მსე ილეკადა. ტურკოვს სამოსში
აღთქმის ქვეყნს უცხოთ ჰშვენიდა,
მწკანეთ შემოსილ მის ბორცვ-გორაკებს
შანჯანდელი გადაჭყენოდა;
სადამოს სიო, მაგრილობელი,
ლიბანის ნამკებს ნაზათ აჩსეკდა
და იორდანე, ბუნების თვალი,
ყვავილეუ შუა შინახსასკუდა,
და იქ, მდელოზე, კეკლეუტი ვარდი
გულის მაძგეკათ გადაშლიდიყო
და სიტკბოების ამოსაწუწნათ
ნაზი ფუტკაკი შიგ ჩასკვნილიყო.
და ამ სანახავს ჩამავალი მშის
კეკლეუტი სსივი დასტრფიადლედა,
სურდა, რომ ეკთხანს მისთვის ეჭკრიტა
და გატაცებით უთვალთვალედა.
და გაიფიქრა: ბუნდ გამოცანის,
ტიურ განკებით დანახანისო
თვით ბუნების კეკლეუტ-შვენიების
დიდი ბეჭედი ამ ვარდს აზისო...
მაქს ამჟ დროს სსივს ხმა მოესმა, —
ჩუჩხული, სქენის დამატკობელი
და გულის ძეკვს ვნება-აშლილთა, —
ის გმძნობათ ცვილეურ დამადნობელი...
ათრთოლდა იგი... ქებს დაუწყო,
ბუჩქის მთავლა სუკეკლეგან თვალი




და იქ, მდებარე ბუნების მანდობლათ,
 მან დაინახა ვაჟი და ქალი.—
 ათრთოლებული გრძნობით ცუტავდენ
 იმ სიტუაციების სატრეფლებდა;
 საერთმანეთოთ გული გაესხნათ
 და გადაეჭლათ ყელი ყელზედა.
 ორივეს თვალი, ეშით სავსენი,
 შვეების ცრემლებით დანამებოდა;
 და მათი სუნთქვა აჩუქ-მიდამოს
 გუნდრუკ-სუნუნელათ ეფინებოდა!..
 თითქო ბუნებაც კი გრძნობით თრთოდა
 მიმორჩევაზე მათი ტანისა
 და რას ისმოდა ნახი შესება
 მათი ტუჩების გულ-წამტანის!..
 ათრთოლდა სსივი ამ სანახავით..
 და მისი ჭკრეტით რომ დამტკბარყო,
 ანა თუ ჟამი მტრყოდენი,
 თვით საუფუნეც კი ან ემარყო!..
 და შეიკრიბა მნათობმა ძალა,
 შექქმნა სსივების ტურთა ვრებული
 და სატრფოთ თავზე გადაფრქვი
 ეს სსივთა სომელი გაბრწყინებული.
 მაგრამ უცრათ შეკრთენ სატრფოანი,
 შიშით ათრთოლდენ, ფერი ეცვალათ
 და სიტუაციას, ხეკნა-აქრსი
 ხელში ანახდათ გამეცვალათ!..
 გაიქცა ვაჟი.. მარა ვინ მისდევს? —
 აგერ ხელთ დანახათ სუსტი ქმნილება!
 შეიბურეს იგი, როგორც ითხოვდა
 ებრალეთ წესი, გამოცდილება.
 ის, უშემწეო და უნუგამო,
 მტარვადთა გუნდას მუისვე დაჭნებდა
 და, რომ მიჭყავდათ, შემკრთალი სსივი
 მის გამდებობით თვალს ადევნებდა...

II.


ის იკვდა მშვიდი, სასეკეთილი
 და თავ დანსრილი მიწას დაჭრქრდა
 და, გამსჭვალული ქვეყნისთვის ზრუნვით,
 იგი რადცას მიწაზე წერდა.
 მას მხოლოდ მუდამ თვალით ეს
 თვისი ციური დანიშნულება.
 რომ ერის გულში მას ჩანერგა

ღვთიური მცნება, მიმართულა;
 რომ შეკრიგოს იმან ცთომილი
 ადამის ტომი და ნათესავი
 ციურ მამასთან, — ეს იყო მისი
 დიადი ვალი და საესავი!..
 და მას გარშემო შემოსეოდენ
 ისრალთ ერის მეთაურები,
 ქვეყნათ დიდების მაძიებელი,
 გრძნობა — დასმულნი, უგეთურები, —
 რომელნიც ერის თვალ-სასხეკვათ,
 ბუზს აუშვებდენ; — აქლემს ჭელაზავდენ!
 სარკის წინ მდგომი სსივს აწლიდენ
 და თვის წინ დიკეს ვერა ჭკვავდენ;
 სსივის მტრე ნაცდომს ჭყვიროდენ ქვეყნათ,
 საშვილიშვილოთ დაიბარებდენ;
 ხოლო თავისას კი სიბნელეში
 მელური სერით ხელს აფარებდენ, —
 ამ წამს ეს ერის ბრმა წინამძღოლნი
 ღვთიურ მოღვრებას ვაცურ მსჯავრს დებდენ
 და თვის უგრძნობელ, ბრმა გულში ნადებს
 ბავით უციფრათ განაცხადებდენ!...
 იმათ ამ წამში მოძლავს მოჭკვარეს
 მთლად ფერ შემკრთალი ცდომილი ქალი
 და ყველაზე წინ წამოაყენეს
 ის გულ-წასული და შესაბრალი!
 და ბრალსა დებდენ: „აჰ, მოძღვარო,
 ეს უბედური, ცოდვის შვილიო,
 რადა ჩაქოლოთ, რადგანაც არის
 ცდომის ადგილზე დაჭერილიო!..“
 „კეთილი!“ ბრმან დიდმა მოძღვარმა, —
 „თქვენ განხეინზე ვიტყვი ანასო;
 მხოლოთ ვინც თქვენში უცოდველია,
 ყველაზე უწინ ქა მან დაჭკვარსო!“
 და იგი, ვისაც მოწულე გული
 ცით გადმოსული მადლით უძგერდა,
 იჭდა იქვე და, ღმობიერი,
 კვლავ თავ-დანსრილი მიწაზე წერდა...
 გავიდა ხანი, და რას მოძღვარმა
 თავის გარშემო მოაგლო თვალი,
 კლარინ ჭნასა, გამრულიყვენ!
 იქ იდგა მხოლოთ ცდომილი ქალი!
 ჭერ გაიღიძა; და ბოლოს ბრმანა:
 „ქვეყნათ ვინ არის უცოდველიო? —



და კიდევ მიტომ ქვის დასაკრულათ
 გრძინ აიღო შენზე სელიო!
 წადი მშვიდობით! კვლავ ნუღარ სტოდავ
 და გემატიოს ესეც უნთიო!
 ხალხი თუმც ამხობს შენებ ცდარილებს,
 მარა სსკაფრავ სჯის ცაში ღმერთიო!..“
 ამის გამგონე ათწთოლდა ქალი...
 შეგებთ შეიწხა მამინ თვით ზეცა!
 და სხივ-ცემცემით, ადტაცებული,
 დასაჯლთისკენ დაეშა მზეცა.

დ. თამაშვილი.



X ძალა უძლურებაშია!

ქუთაისის ბანკის უკანასკნელმა არჩევნებმა დიდი კამათი გამოიწვია ჩვენ მწერლობაში და კიდევ მეტი ქუთაისის საზოგადოებაში. არც საკვირველია. აგერ ცხრა თუ ათი წელია, რაც კ. ჩიკვაძე გაბატონდა ამ ბანკში, ათი წელია ქუთაისის „ინტელიგენცია“ ცდილობს მის გადაგდებას, ორჯერ შეებრძოლა კიდევ და ორივეჯერ დამარცხებული დაბრუნდა. მერე სხვა გზით დააპირა მისი განდევნა: საშუალებათ კანონი გამოანახა, მთავრობას თხოვა ამომრჩეველთა უფლებების შეკვეცა და მიალწია კიდევ საწადელს, მარა გამარჯვებით მაინც ვერ გაიმარჯვა. მისი სურვილის შესრულებას ხელი შეუწყო სამინისტროს ასეთმავე სურვილმა, რაიცა გამოიწვია სხვათა შორის კრებების უწესრიგობამ, იმ უწესრიგობამ, რომლის მიზეზი, ეჭვ გარეშეა, ჩიკვაძის პარტია იყო. ამ რიგათ, ახალი წესის შემოღებას ორივე პარტია უწყობდა ხელს, ერთი ნებით, მეორე უნებლიეთ; ერთი საზოგადო (ე. ი. პარტიული) მოსაზრებით თხოულობდა უფლებების შეკვეცას, მეორე კი თავის „ყოფაქცევით“ სამინისტროს იწვევდა ასეთი ცვლილების მოსახდენათ. საჭიროა წარსული მოვიგონოთ, და ის გვეტყვის, რომ „ინტელიგენცია“ დიდი ხანია ცდილობდა წარმომადგენლობის შემოღებას, დიდი ხნით სამინისტროზე აღრე, და ამან გამოიწვია, რამდენათც მაგონდება, მამია გურიელის გრძობით საესე სტყევა კრებების დასაცველათ. მარა ჯობს შევიჩრდეთ, და საზოგადოთ დაეხანათოთ ეს პარტია და მაშინ ბანკის საქმეებშიაც დაეინახეთ მის ფიზიონომიას.

ახირებული ზნე დაჩემდა ამ პარტას. საქმაოა ვინმე კრიტიკულათ შეეხოს მის მოღვაწეობას, მაშინვე „კალისტრატისტობას“ უკიჟინებენ, თუნდაც იგი მათებრ არ გვეპრიანებოდეს. ეს აიხსნება პარტი-

ული გატაცებით, რომელიც თავდავიწყებამდე მიყვანს ხოლმე ზოგჯერ კაცს, მარა თუ ეს ეპატიება სხვებს, არ ეპატიება გ. მიაშვილს. მას ჩვენ უფრო დნჯაკათ ვიცნობდით, მისგან არ ველოდით ბანკის საქმეების ამ ზომამდე გაზვიადებას. მართლაც, რომელი ლოლიკას ძალით შეგვიძლია მოვთხოვოთ კაცს, უეჭველათ ან მე მომემხრე ან კალისტრატესო? ნუ თუ ძნელი წარმოსადგენია ასეთი უბრალო პასუხი: არც შენ ვარგინარ და არც შენი მოპირდაპირეო?! უფრო ადვილი გასაგებია, როცა ამას სრულიად გარეშე კაცი გვეუბნება, რომელსაც შეუძლია მართლა მიუდგომელი მსჯავრი დაადვას ორივე მხარის საქციელს, და ამ მხრით ჩვენთვის აუხსნელია ქუთაისელი ოპოზიციის გამოლაშქრება, მისი „აღვლევება“ ნ. ქორდანიას წინააღმდეგ. დიახ, უცხოხათვის ყოველივე ეს ძნელი ასახსნელია, ხოლო ვინც ქუთაისის ცხოვრებას იცნობს, ის ადვილათ მიხვდება ამის მიზეზს.

ეს „ინტელიგენცია“ დიდი ხანია გაბატონებულა ქუთაისში; თავის მონაზობელთ გაუხდია საზოგადო მოღვაწეობა, ინტელიგენტობა, და თუ ვინმე საზოგადო ასპარეზზე იფიქრებდა გამოხვლას დღემდე, უეჭველათ ამათ რაზმში უნდა ჩაწერილიყო, მათგან უნდა მიეღო ლოცვა კურთხევა. მხოლოთ ამას შემდეგ შეეძლო კაცს ინტელიგენტის სახელის ტარება და საზოგადო ცხოვრებაში ადგილის დაჭერა. ვინც მათ რაზმს მიეკედლება, ის განათლებულია, „ქეშმარიტი ინტელიგენცია“, ვინც არა—უფიცია, სამშობლოს მოღალატე, თუნდ არც მოწინააღმდეგეს მიემხროს. აი ასეთმა მსჯელობამ მისცა ნება კ. ჩიკვაძეს ეთქვა: „კი ბატონო, მჯერა, რომ ისინი უფრო ინტელიგენტები არიან, მარა, თუ კი ესა და ეს ინტელიგენტია, მე რაღა დავაშავეო“. მართლაც ნამეტანი გამედიდურებულია ეს პარტია თავისი ინტელიგენტით, რამდენათ საფუძვლიანათ, ქვევით დაეინახამთ. როგორც ყველა მონოპოლისტებს, ამათაც ეშინიათ კრიტიკის და ამიტომაც ასე რომ მიესევინან, ვინც რამეს შენიშნავს; ან კი რა საკვირველია: ვინ არ იცის, „ბატონობა“ ძნელი დასათმობია! კრიტიკისა არ ეშინია მხოლოთ იმას, ვინც საქმესა კეთებს რ მომავალშიაც ფიქრობს მუშაობას; ამისთანა კაცი მაღლობელიც იქნება კრიტიკისა, რ ისეთი პარტია კი რომელიც მხოლოთ ადგილების შესახებათ იბრძვის (საბჭოშია თუ ბანკში), ვერ ითმენს კრიტიკას და იმდენათ „ღელდება“, რომ თითონ ეძლევა მოპირდაპირეს ხელში. „გაგვიცანით და გვაწავეთო“ გაიძახის ერთი ამ პარტიის თანამაზრეთაგანი, რომელიც კითხვითი ნიშნაა („ე“ № 56) გადუქცევია ნ. ქორდანის წერილებს. მართლაც საჭიროა გაეცნოთ იგი, მარა გაეცნოთ ყველგან და არა მარტო



ა. გუგუშვილი
97.




ქ რ ი ს ტ ე ა ლ დ გ ა. (ოჯახის უფროსი გლეხები ერთმანეთს ულოცვენ)

მიხეილის ბანკში; გაეცნოთ მისი „პროგრამა“, მისი „პრინციპები“, რომელთა გამარჯვება მას სურს ჩვენ საზოგადო დაწესებულებებში და მერე დაედოთ მსჯავრი. თან ნუ დაეფიწყებთ, რომ ერთის სიგლაზე მეორის სიკარგეს არ ნიშნავს, და თუ იმათ ჩიკვიძის პარტიის უფარვისობა დაგვიმტკიცონ, ეს არ ნიშნავს მათ უნაკლულობას. მას შევეუდგეთ.

საზოგადო საბრძოლველი ასპარეზი ქუთაისში სამია: ორი ბანკი, მესამე ქალაქის თვითმმართველობა. ეს პარტია ყველგან გამოდის საბრძოლველათ, და თითქმის ყველგან მარცხდება ამ უკანასკნელ ხანებში. რა არის ამის მიზეზი? რით იმარჯვებს მათი მოწინააღმდეგე? ნუ თუ მარტო პურ-ღვინით? ან შეიძლება თვით ამ პარტიის რომელიმე თვისებაა მოპირდაპირის გამარჯვების საუკეთესო თავდები?


ყველაზე უფრო მაგრათ საურთიერთო ნდობის ბანკში უდგია ფეხი ამ პარტიას; ყველგან „ოპოზიცია“—აქ გამგეობის პარტიას წარმოადგენს, მარა აქაც მისი ძლიერება დამყარებულია მისი მოხელე-წარმომადგენლების პირად ღირსებაზე და ძველად შეძენილ სახელზე. ამის დასამტკიცებლათ, მე მგონია, ბ. მ. ქუთათელაძის დირექტორობაც კმარა. ეს კაცა ნამდვილი თვალის სვეტია დანარჩენი ორი გამგისა (თთ. თუმანიშვილისა და ლორთქიფანიძისა), მარა იგივე ამომრჩეველები, რომელნიც თითქმის ერთხმად ირჩევენ ამ ორს, ერთხმად თუ არა, დიდი უპირავ-

ლესობით ირჩევენ მ. ქუთათელაძესაც, და ვინც კი წამოაყენეს მის წინააღმდეგ, ყველა „გაშავებულ იქნა“. რით აეხსნათ ეს? ნუ თუ კონტრასტების მოყვარულია ქუთათური ამომრჩეველი და, საცა „კირილე“ ეყოლება, იქ „მიშაც“ უნდა ჰყავდეს?! ამ ბანკის ამომრჩეველები ნამეტანი ანგარიშის ხალხია, და თუ თქვენ გააგებინებთ, რომ ვინმე ბანკის მოსამსახურეთაგანი ბანკის მაზიანებელია, გააკვებინებთ, ესა და ეს რომ არ იყოს ბანკში; თქვენი მოგება აბაზის ნაცვლათ ორი აბაზი იქნებოდაო, დამერწმუნეთ, მაშინვე ზურგს შეაქცევენ იმ კაცს. თუ ბ. ქუთათელაძე არაა სასურველი ბანკში, როგორც ბანკის მაზიანებელი, და მათი გამოლაშქრება ამ კაცის წინააღმდეგ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული, მაშინ რატომ ერთხელაც ვერ გაბედეს პირდაპირ, გადაჭრით, კითხვის დაყენება: ან ის ან ჩვენ, ამ ორში არჩიეთო (ასე მოიქცა მათი თფილსელი მეგობარი). მგონია ამდენ ძალას ვერ გრძნობენ და ადგილის დაკარგვა კი ძალიან ეძნელებათ. თუ მართლა ისეთ ამომრჩეველებთან გვაქვს საქმე, როგორც ზევით დაეახსიათეთ, მაშინ ამათი საქციელი შემდეგ დასკვნამდის მიგვიყვანს: ან არა გაქვთ ფაქტები და თქვენი სიძულელი ამ კაცის მიმართ მარტო თქვენ სიმპატია-ანტიპატიაზეა დამყარებული, ან და ვერ სარგებლობთ რიგიანათ თქვენი ფაქტების არსენალით.



ა. გომიანი

აღდგომის სამზადისი: კვერცხების შუღება.



ამ ინტელიგენტთა პარტიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი განლაგება ქალაქის საქმე და ქალაქის არჩევნები.

წარსულ ზაფხულში, მოგვხსენებთ, მთელი ქუთაისი ამ არჩევნებზე ტრიალებდა და მითი ედგა სული. მეც, ამ სტრიქონების დამწერი, დაინტერესებული ვიყავი ამ კითხვით და მიწოდდა გამეგო საქმე. ამბობდნენ ლოლუა არ ვარგა, ქალაქი დაეაღიანა; თითონ ეფექტებს მისდევს, ამოპრჩველებს მარტო პროექტებით ჰხიზლავს და სამერმისო, საშველიშვილო საქმე ერთიც არ გამოუწყიაო. ყოველივე ამაში ჩვენც ვეთანხმებოდით, ვეთანხმებოდი და მსურველიც ვიყავი (თუ კი, რასაკვირველია, უკეთესს გამოიხატებდნენ) ბლოლუას გადაყენებისა, მარა მაინც შევეკითხე: თქვენი პროგრამა რა არის, რა გზას უნდა დაადგეს თქვენი არჩეული ქალაქის თავი და მისი გამგეობა თქვა: „აი, სიტყვა სიტყვით მათი პასუხი: „чтобы городу было хорошо, городское хозяйство велось хорошо“. რა მარტივი და თან ადვილი გასაგები პროგრამაა! განა არ კმარა ეს „хорошо“? ამაზე მეტი ვის შეუძლია ისურვოს? ამ პროგრამაში სულ ორი პუნქტია: პირველი—хорошо, მეორე—კიდევ хорошо. ახირებულა ეს ქუთათური ამომრჩეველი, თორემ აი ამ სიტყვების მთქმელი უნდა გადაეყვანა ხელით ბუღვარიდან და შიგ მოურავის სავარძელში ჩაებრძანებია. საუბედუროთ ამათ ორ „хорошо“-ს ბლოლუამ ხუთი და ათი „хорошо“ დაუყენა წინ, ისიც სულ პროექტებში გაწკიპული, და, რასაკვირველია, ის არჩიეს ანგარიშის კაცებმა. ასეთი იყო მომავლის პროგრამა. ახლა ენახათ ბრძოლის დროს რას შერებოდნენ. თითქმის მთელი ადგილობრივი პრესა ამათი მომხრე იყო და ამათაც ისარგებლეს; კრიტიკის ქარცხენში გაატარეს ბლოლუას ნ წლის მოღვაწეობა და, სხვა თუ ვერა, თავისი თავი მაინც დაირწმუნეს მის უფარვისობაში. სამწუხაროთ, რამდენიმე შეცდომა აქაც მოუვიდათ. I ჩამოთვალეს ვალები და ის კი არ მოიხსენიეს, რაც ქალაქმა შეიძინა; II—დავიწყდათ ის, რომ, როცა ყველაფერს ლოლუას უფარვისობით ხსნიდნენ წარსული საბჭოს ნაღვაწ-ნამოქმედარში, თითონ (ეს პარტია) შეადგენდნენ უმრავლესობას საბჭოში, მათი იყო გამგეობის ორივე წევრი; თუ ლოლუა ცუდ, ქალაქისთვის საზიანო გზას დაადგა, რათ მისცეს ამის ნება? ვინ არ იცის, რომ მოურავს საბჭოს უდასტუროთ ძალიან ცოტა შეუძლია. როცა ამისი ახსნა მოეთხოვეთ, ასე მოგივებს: „მართალია უმრავლესობა ჩვენ ვართ, მარა როცა ლოლუას უნდა თავისი გაიტანოს, ყველა თავის მომხრეებს მორეკს, ჩვენები კი არ მოდიან“. ესეც ერთი დამახასიათებელი მივლენა! მერე ვისი ბრალია,

თუ თქვენ არ მიდინართ, თუ თქვენ არ ეჭიდებით საქმეს მედგრათ? ნუ თუ აქაც პურ-ლეინოა?! ჩემი აზრით, რამდენათ ლოლუა დამნაშავე ქალაქის წინ, თუ მისი საქმე ურიგოთაა მოწყობილი, თუ მეტათ არა იმდენათ თქვენც, „ქეშმარიტო ინტელიგენტებო“, თქვენი პარტიის უდისციპლინობა. ეს უდისციპლინობა იყო თქვენი დამარცხების მიზეზიც, რომელსაც მიემატა თვით ოპოზიციონისტებისაგან ურთობის არ ცნობა და არ ცოდნა.

ამ პარტიისაგან მოსე ქიქოძის¹⁾ კანდიდატურის მიმხრობა რომ გაჭირება იყო, თავის-თავის გაშოლტვა, ამას თითონაც გრძნობდნენ; ამიტომაც დიდხანს იკავეს თავი, ბევრს თხოვეს ამ საპატიო თანამდებობაზე კენჭის ყრა, თანაც ბევრი ზომეს და წონეს თავის ძალები და მერე მიემხრენ ამ კაცს. დღეს ჩვენი მიზანია ლოლუას გადაყენება, ეს კი მხოლოდ ქიქოძის კანდიდატურის წამოყენებით შეგვიძლიაო, ასე მსჯელობდნენ და მართალიც იყვენ; რომ ქიქოძე არა, მართლა სასირცხვო დამარცხება ელოდათ, ახლა კი მარტო კურიოზული დამარცხება ხედათ. აბა წარმოიდგინეთ, რა სკანდალია: ყველა ვაზეთებს შეატყობიეს „ხმოსნების არჩევის შემდეგ“, სასახელოთ გაიმარჯვა ოპოზიციამო“, და ბოლოს ისევე ლოლუა დარჩა ქალაქის სეე-ბედის გამგეთ! როგორ მოხდა ეს? პირველი მიზეზი უდისციპლინობა იყო. როცა მთელმა პარტიამ გადაწყვიტა ქიქოძის მიმხრობა, ზოგიერთი „პატივცემული წევრები“ ვაზზე გადგენ; ვინც ვინდათ გამოიყენეთ და ქიქოძეს კი არ მიეცემთ თეთროსო. კიდევ კარგი იქნებოდა, მარტო ეს რომ ყოფილიყო, მაშინ ორივე გაშავდებოდა. მაშ ლოლუას მიემხრო ვინმე? დიახ, ვინმე კი არა ბევრი. „გაგვიდგეს, გვილალატესო“, იძახდნენ მეთაურები. განა ვაპტივება ასეთ პარტიას ისეთი წევრების არჩევა, რომელთაგან ლალატიც კი მოსალოდნელია! ულალატეს, ეს აშკარაა, მარა რათ აირჩიეს ასეთი პირები, რათ მოაქციეს ისინი თავის სიაში, რათ მოიტყუილეს თავი? ხმოსნათ რჩევენ კაცს და ისიც არ იციან ვისი მომხრეა, ამაზე მეტი უეცობა და გამოუცდლობა შეიძლება?! არ ვიცოდით, არ გვეგონა,

¹⁾ შიდადათ მე ყველა მოსალოდნელ და დასასყელებ კანდიდატებზე წინ ბ. ქიქოძეს ვუყენებდი, მაშ ახა რაგორც პარტიის წარმომადგენელს. შემთხვევას მქონდა გამეცნო ამ კაცის პრეზენტაცია, რომელიც ლოლუას ვრცელ პრეზენტაციას, მის აუსრულებელ პროექტებს, სიდიდით გი ჩამოუგარდებოდა. მაშ ეტყობოდა, რომ ამ კაცს გათვალისწინებული ჰქონდა ქალაქის მდგომარეობა, მისი შეძლება, და უმარჯველესი საჭიროებათა დაკმაყოფილება ჰქონდა სახეში.

თუ გეოლატებდნო. არც ჩვენ გვეგონა, თუ გამარჯვება დამარცხებათ შეგვეცვლებოდათ, მარა ჩვენმა „გონებამ“ რაჰქნას: აქ ცოდნა საჭირო, ნამდვილი უნდა ვიცოდეთ ვის ვირჩევთ და ხმოსნების არჩევის შემდეგ საექვეო არ უნდა იყოს, ვისი კანდიდატი გამარჯვებს.

ამ პარტიას ასეთი კუროზიცი მოუვიდა: ერთ ქუთაისის ინტელიგენტის კარებთან ტალახი ააყენეს; იმდენი თხოვეს, ქალაქის თავობაზე იყარე კენჭიო, და მხოლოდ დიდ ხვეწნა მუდარას შემდეგ დაანებეს თავი. ბოლოს რა გამოდგა? ეს „ინტელიგენტი“ თურმე (terribile dictu!) ლოლუას მომხრე ყოფილა, და ისეთი მომხრე, რომ უკანასკნელ, ბრძოლის გადამწყვეტ, კრებაზე (ქუთაისის „ბორდერო“), სულ ბოლი აადინა ჩვენ ინტელიგენტებს! ასე იცნობენ კაცს ეს ვაჭბატონები და ამისთანა სასურველი კანდიდატი გამოჰყავთ თავისი მხრით...

დავანებოთ თავი ჯერ სათავად-აზნაურო ბანკს და სხვა დაწესებულებებში გადვიდეთ, საცა ეს „ინტელიგენტებია“ გაბატონებული. არის ქუთაისში სამეურნეო საზოგადოება. აქაც ეს „ინტელიგენტებია“ და ისინი აძლევენ ტონს. ამ საზოგადოებას აბარია სამეურნეო სკოლა, რომელსაც თავს უნდა ევლებოდნენ ჩვენი მოღვაწეები, მით უმეტეს, რომ სამშობლოს ხსნას ისინი მეურნეობის განვითარებაში ხელდავენ. ევლებიან თუ არა არ ვიცი და ეს კი ოფიციალურათ გამოცხადდა, რომ სკოლა მეტათ სამწუხარო მდგომარეობაში ნახა სამინისტროს რევიზორმა; საჭიროთ სცნო საზოგადოებისთვის ულტიმატუმში დაედგინა: ორი წლის განმავლობაში თუ სკოლა რიგიანათ არ მოგიწყვიათ... შედეგი არაა ნაჩვენები, მარა კარგი არ იქნება, ეს აშკარაა: ან დაიხურება სკოლა, ან და „საზოგადოებას“ ჩამოერთმევა. სკოლის გამგეთაც ისეთი კაცი წარუდგენიათ, რომელსაც ბავშვებისთვის ვერა უსწავლებია რა და ერის გამცნიერება კი თარჯიმნის შემწეობით მოუსურვებია! 2) ადგილობრივ მეურნეთა გაჭირვებას და მოთხოვნილებას იმდენათ ირკვევენ, რამდენათ მე და თქვენ, მკითხველო, ჩინეთის ისტორიას. მთელი მათი მოღვაწეობა პროტოკოლებით და ევროპის მიმართ ყვირილით თავდება!

ეს „ლიბერალები“ იღებენ მონაწილეობას თავად-აზნაურთა კრებებში. იღებდნენ მონაწილეობას უკანასკნელ კრებაშიაც, როცა „თავისუფალ ფულებზე“ იყო მსჯელობა, და ერთსაც არ აუმაღლებია ხმა, რომ ეს ფულები მართლა საკმაო საქმეს მოხმარებოდა. ერთი ახალგაზდა პარტიელი, თ. კიტა აბაშიძე, ისეთ

ალტაცებაში მოიყვანა კრების „ბრძნულმა“ გადაწყვეტილებამ: ამ ფულებით თავად-აზნაურთა შეილები გამოიზარდოსო, რომ ევლარ შესძლო ამ ალტაცების დამალვა და მზათ იყო ყველა დამსწრე გადაეკონა (იხ. „ივერიის“ კორესპონდენცია). დაწეთ, რა ბრძენი თავად-აზნაურობა აღმოაჩინა თ. კიტამ! მეოცე საუკუნის დასაწყისს, „არ შეიძლება ჩვენი სიამოვნება არ გამოვთქვათ“, რომ თავად-აზნაურობას შეუგნია, ახალთაობას სწავლა-განათლება სჭირია და მზათ არის თავისს შეილებს ასწავლოს! „თავის ქონებას, ყველა თავის სასართებლოთ ხმარობს, და ეს ყველაზე უფრო „კვალის“ მწერლებს, ეკონომიურ მატერიალისტებს, უნდა გესმოდესთო“, გვეტყვის თ. კიტა აბაშიძე. მართალია, და ამიტომაც ჩვენ თავად-აზნაურობას როდი ვუკიჟინებთ ამ გადაწყვეტილებას. ოღონდ თქვენ, ბატონო საერო-ლიბერალებო, საერო ინტერესები უნდ გედგათ თავალწინ ყოველთვის, ყველგან ღ ყველას ამას უნდა აგონებდეთ. ან კი რა დიდი გმირობა იქნებოდა, გლენების სუფში აღებულის ფული ჩვენთან ერთათ მათი შეილების სწავლაზედაც დახარჯულიყო? რატომ არ აუხსენით კრებას, რომ ამას უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა, არ აუხსენით, რომ ყველა სასწავლებლები, საცა თავად-აზნაურთა შეილები სწავლობენ, გჯესკის ოფდით არსებობენ? ახირებული ლიბერალობა მართო თავად-აზნაურობის ხსოვნა!...

იმავე პარტიის ლიბერალები დგანან სენაკის სკოლის გამგე კომიტეტის სათავეში და, სწორეთ ამიტომაც, 15 წლის განმავლობაში რომ ერთი რევიზიაც არ მოუხდენიათ.

ეს ინტელიგენტები იღვენ შარშანწინ (97 წ.) წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის სათავეში და აბა ერთი ვიკითხოთ, ვინ იცის მისი (კომიტ.) მოღვაწეობის ამბავი: რა შემოუვიდა კომიტეტს, რა დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულთ, ან როდის, რა საზომით ხელმძღვანელობდა თავის დახმარებაში და სხვა-და-სხვა?

ეს არის ჩვენში საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და ასეთია „ცნობილ მოღვაწეთა“ მოქმედება.

„გავციანით და გვასწავეთო“, გაიძახის ერთი პარტიელი „ივ.“ ფურცლებიდან. სწორეთ გავციანით და იმიტომ მოგახსენებთ: ამ გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ისეთი უპროგრამო და უდისციპლინო პარტია, როგორიც თქვენია, ხშირათ გამობრუნდება დამარცხებული ბრძოლის ველიდან.

მიხეილის ბანკის არჩევნებს არ დაესწრებივარ და მაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებ. მოსალოდნელია, აქაც ყველა თავის თვისებებით წარმოდგებოდა ეს პარტია, ასე იყო წინეთ. გარდა განსვენებული მ. ხელ-

2) იხ. „ივერია“ № 45, 99 წ.



თუფლიშვილის წერილისა („რა დაშავა ბ. ჩიკვაიძემ“ „ივერია“) მინცა და მინც შესანიშნავი ნაშთი წინანდელისა ვერა ენახეთ რა ქართულ მწერლობაში. მაიაშვილის წერილებზე („მოამბეში“) თუ მიგვითითებთ, მოგახსენებთ, რომ ეს უძრავი და უხმარი ქონება პარტიისთვის, ძალიან ცოტა იცნობს ამ წერილებს; პრაქტიკულ ბრძოლაში უფრო მოძრავი იარაღია საჭირო. საბუთები და პროგრამა, რასაკვირველია, აქაც საჭიროა, და მართლ დაპირება, торжества какиихъ принциповъ желаемъ—მერე გეტყვითო.—არ კმარა. მართლ ის კი არ კმარაკაცის გადასაყენებლათ, ერთი ხელი შუბლზე დაიდოთ, მეორე გულზე, და იძახოთ, ჩვენ „ქვემარტი ინტელიგენცია“ ვართ, კალისტრატე არ მოგვწონს, და ნუ აირჩევთო. თან საარჩევნო აგიტაციას დროზე უნდა მოჰკიდოთ ხელი, თორემ ყოველთვის „ორი კვირა გაკლდებათ“, თქვე დალოცვილებო, და დამარცხებული ბრუნდებით. თქვენ გგონიათ ბ. კ. ჩიკვაიძეს და ლოლუას ძალა პურ-ღვინოში და უხნეო აგიტაციაშია, ნამდვილ კი მათი ძალა თქვენ უქაფუკებაშია: მოიკრიფეთ ძალები, იქონიეთ მტკიცე დისციპლინა, შეიმუშავეთ პროგრამა, რეალური, პრაქტიკული, და თუ იმათმა პურღვინომ გძლიოსთ, მაშინ ათვალწუნეთ „ბრბო“, მაშინ დაჰმეთ ამომჩვეელები. უარპყავით ცრუ აზრი, ვითომ „ბრბო“ ვერ არჩევს მტერ-მოყვარეს; ნუ გგონიათ, რომ დღევანდელი ხალხი ოპეკას საჭიროებს და თქვენი თავი ნუ მოგაქვთ ქვეყნის ოპეკუნათ.

ამ სტრიქონების დამწერს არა თქვენზე ნაკლებ ეჯავრება ლოლუა—ჩიკვაიძის პარტიის მიერ საბრძოლველათ ნახმარი საშუალებები, მარა ეს არ უშლის თქვენც კრიტიკის თვალთ შეგხედოსთ, და ნუ შემბრისხავთ...

დასასრულ ორიოდ სიტყვა ბ. მაიაშვილზე. პატივცემული მოღვაწე ძალიან გაუწიწმამებია „კვალის“ შენიშვნებს, იმ ზომამდე გაუწიწმამებია, რომ ჩვეულებრივ და სვალდებულო სიღინჯსაც ჰკარგავს. ხმა-რობს ისეთ ზნერს, რომელიც არ იყო მისგან მოსალოდნელი, „ფარმულიარნი სპისოკს“ თხოვს მოპირდაპირეს და მხოლოდ მერე პირდება პასუხის გაცემას. მისთვის არა სასიამოვნო წერილების ავტორი ნ. ჟორდანიია. ეს კაცი მეექვსე წელიწადია წერს ჩვენში, ბოლოს ერთი ორგანოს მეთაურიც შეიქნა და ეს კი გვეთქმის, რომ მისი ფიზიონომია მეტათ გამორკვეული უნდა იყოს მისი ადენი წერილების შემდეგ. თუ ბ. მაიაშვილი „კვალს“ ადენებს თვალ-ყურს, თუ ის იმ გამედიდებულთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთაც მოპირდაპირის გაცნობა თავის დამცირებათ მიანიათ, მაშინ გამორკვეული ექნება ამ კაცის ფი-

ზიონომია. სხვა კითხვაა, როგორ მოგვწონს, **СИЛОЙ МИЛЪ НЕ БУДЕШЬ!**

ბ. მაიაშვილს კი უნდა ესმოდეს, რომ „კალისტრატისმით“ ადამიანთა გვარის ორ ბანაკათ დაყოფა ყოველათ შეუძლებელია, თან ნამეტანი გაზვიადება იქნება იმავ კალისტრატეს მნიშვნელობისა. უნდა ესმოდეს, რომ არაფერი განსაკუთრებული პრინციპების торжество-ს სურვილი არ შეიძლება ქუთაისის ბანკში. ყველა ბანკი—ბანკია, კომერციული დაწესებულება და, ცოტა არ იყოს, საკვირველიცაა „მოძღვრების“ ადვტის მოღვაწეობის ბანკით განსაზღვრა, ბ. მაიაშვილი კი სწორეთ აქ გამოჩნდება ყოველთვის.

ჯობს ამაზე ბ. მაიაშვილის მეგობრებს შეეკითხნოთ. გავაცანით და გვასწავეთ, ბატონებო, რა არის თვით ბ. მაიაშვილი ქართულ მწერლობაში? მართლა ისეთი ბუმბერაზია, როგორც თითონ აქვს წარმოდგენილი და თქვენ, მართლა იმდენი ნაშრომი აქვს, რომ მის ჩრდილში ვერავინ გაჩხარებს?

სად გამოჩნდა ჩვენში მისი „მოძღვრების“ ადვტობა, ბანკში, მარგანეცში თუ სხვაგან? ქვეყანას რომ სტატისტიკურათ შესწავლა უნდა, ამას ყოველი სხვა მოძღვრების მიმდევარიც ამბობს (იხ. მისი „წერილი მოღვაწეთა მიმართ“); მარგანეცზე მრეწველთა კრებაზე, როცა სინდიკატის პროექტს იმუშავებდენ, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ამ ადვტს მუშათა მდგომარეობა. არ ვიცოდით, თუ ბანკის და მარგანეცის წარმოებით განისაზღვრება „მოძღვრების“ მიმდევარის მოღვაწეობა!

აგვიხსენით და გვასწავეთ...
ქ. მოსკოვი. ნ. კლავა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა.

ყველამ იცის, რომ მთავრობა მეცადინეობს, გაავრცელოს საკვირაო სკოლები, ტექნიკური კურსები და განათლების სხვა და სხვა საშუალებები, რამდენათაც ეს შესაძლოა, განსაკუთრებით მუშა ხალხში. მარა ნაცვლათ ამისა რომ ხელი შეეწყოს ამ სიმკატიურ დაწყებისათვის და ამით ესარგებლათ, მუშათა შორის გამოჩნდენ ისეთები, რომელნიც ხალხს აბრძობენ და უხნეო და უსარგებლო გზაზე აყენებენ. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ვაჟბატონები თფილისის რკინის გზის სახელოსნოში. როცა აქ რამოდენიმე მუშამ მოისურვა საკვირაო სკოლაში ჩაწერილიყო, მათ მიმართეს ზემოხსენებულ პირებმა შემდეგი სიტყვებით: რა დროსია ან რა საჭიროა თქვენთვის წერა-კითხვა, ხატვა, არითმეტიკა, გეოგრაფია და სხვა, თუ დრო გაქვთ მოდით ჩემთან და ვისწავლოთ

სხვა რამ. ახლა არ იკითხავენ რა არის ისეთი რამ? რა და ლეკური და ბალდადური. ამ ოთხი წლის წინათ სახელოსნოში მომუშავემ ბ. ო — ამ, რამდენიმე მუშა მიიმხრო თავისკენ და ასწავლა ლეკური და ბალდადური, შემდეგ ევროპული თამაშის, რასაკვირველია მუქთათ არა, გასამრჯელო საკმარისი აიღო. რაკი ფეხები განაფითარეს ამ ყმაწვილებმა, ხოლო თავები კი ცარიელი დაურჩათ, მერე იმათაც მიბადეს თავის ტანც-მეისტერს. ამ ყმათ როცა გაზეთებშიაც კი გამოცხადდა: ვინც წერა-კითხვა და რუსული ლაპარაკი არ იცის დათხოვნილ იქნებიან წლის ბოლოს რკინის გზის სამსახურიდან — თამაშობაში კურს დათავრებულ ორ ვაჭბატონთ: შ — ძეს და კ — ძეს შაუკროვებიან ოციოდე ახალგაზდა სახელოსნოში მომუშავენი და გაუზალებიან ლეკურ-ბალდადური კურსები. თითო მოსწავლესაგან იღებენ თორმეტ მანეთს.

ფრიად ცუდი გავლენა იქონია მუშებზე ყოველივე შემოსწენებულმა. როცა გაკვეთილი აქვთ, მასწავლებელთან გროვდებიან, როცა არა და ერთმანეთთან მიდიან, ზოგი „ფიგურას“ იბეჯითებს არ დამაფიწყდესო და ზოგიც ნოტს; შემდეგ გაჩაღებენ ბანქოს ან ლოტოს თამაშს და ღამის პირველ საათამდე ცდებიან და თანაც ფულებს აკებენ. დროა თავი დაეანებოთ მუშებმა ასეთ არა სასარგებლო საქმეს და დაეადგეთ იმ სწორ გზას, რომლის მიმდინარობაც ხელს შეუწყობს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგ. ჩავეწეროთ საკვირაო სკოლებში, სადაც უფასოთ გვასწავლიან წერა-კითხვას, მოეხმინოთ საუბარი ბუნების მოვლენებზე, შევისწავლოთ ხატვა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა მუშაობის დროს და სხ.

ერთი მუშათაგანი.

შარშანდელი „ჯეჯილი“-ს კრიტიკასი. *)

ერთ ოჯახში, ჩვენ იქ ყოფნის დროს, რაღაც დანაშაულისათვის ბავში დასაჯეს. როცა ბავშს ეკითხებ, რა დაშავე-მეთქი, ევრაფერი ვერ მიპასუხა: მან იცოდა, რომ გალახეს: რისთვის, ან რა იყო საამისო მის მოქმედებაში, არ ესმოდა. ამგვარი ბავში მეორეთ იმას კი არ ეცდება, რომ თავისი ცუდი საქციელი აღარ გაიმეოროს, არამედ იმას, რომ ვეღარ გაუგონ; ცუდ საქციელს კიდევ ჩაიდენს, რადგანაც მისი სიცუდე არაფერს გააგებია, ხოლო უფრო ფრთხილი იქნება. თუმცა ბ. ბოცვაძე იმ აზრის არის, რომ ბავშს მართო კარგი უნდა დაანახოვო, მაგრამ ბევრგან თავის აზრს უხვევს; მას უნდა, რომ ყოველგვარ მოთხრობაში და ლექსში რაიმე ზნეობრივი სწავლა იყოს ხელოვნურათ გატარებული. ამგვარ მიზანს კი ძალიან ძვირათ მიადწევთ, თუ მართო ხატეთ. პირველი ნომრის ლექსი „მერცხალი“, მოთხრობა „ობობა“, ბოცვაძეს მოწონს, მაგრამ აქ ხომ ცუდიც არის ნაჩვენებ:

ნები: ბავშვისაგან მერცხლებს წვალბა, ობობას მოსისხლეობა? ბოცვაძეს მოწონს, იმიტომ რომ ზნეობრივი დასკვნა ბავშვისათვის სასარგებლოა; იმგვარი ზნეობრივი დასკვნა კი, როგორც ბოროტების დასჯა, ბოროტის დაუხატავთ შეუძლებელია. თეორიაში ბოცვაძე შემცდარია, ხოლო როცა მოთხრობებს არჩევს და თავის თეორიულ მოსაზრებებს იგიწყებს, ხშირათ მართალს აწბობს.

ჯეჯილის მეექვსე ნომრის გარჩევის დროს ბ. ბოცვაძე თავისი აზრის მიხედვით, ყმაწვილს მხოლოდ კარგი უნდა უჩვენოთ, გვეუბნება: „ისეთი იგავ-არაკი, რომელიც შეიცავს ცბიერებას, უსამართლობას, პატარებისათვის საკითხავათ სასარგებლო არ იქნება, რადგანაც ზოგიერთი ნაწილი გაუგებარი ხდება ბავშვებისთვის; ადვილათ შეიძლება, რომელიმე გაქნილი და ევრაგი გმირი იგავ-არაკსა სამაგალითოთ და მისაბაძათ იქნეს პატარა მკითხველის მიერ აღსაზრებელი“. ბ. ბოცვაძეს დაეიწყინა, რომ იგავ-არაკი იგივე სატირაა და არა ადამიანის ღირსებათა დიფირამბი; ამიტომ ყოველ იგავ-არაკში უმეტეს წილათ ადამიანის რაიმე ცუდი მხარეა გამოყვანილი. აიღეთ ლაფონტენის, კრილოვის იგავ-არაკები: თითქმის ყველაში ცბიერება, უსამართლობა, სირვეგნე და მრავალი სხვა ნაკლოვანებაა გამოყვანილი. მაშასადამე ორივე ამ გამოჩენილ მიგავავეებს თუ ბ. ბოცვაძეს დაეუჯერეთ, ქოქოლა უნდა მიეყაროთ და კარები ეუჩვენოთ, თვარა ბავშვს გაგვირყენიან!

„რა გვიყო ჭაკოკონამ?“-ის ავტორს ბოცვაძე „მედი-ნიშა“-ს უსვამს, უგემურ ღ უხამს მოთხრობათ მიაჩნია, რომელიც მხოლოდ ზიზღს გამოიწვევსო. „ყოველი წერა-კითხვის მკოდნე რამდენიმე საათის განმავლობაში მთელ კრებულს გამოაცხობს ამისთანა მოთხრობებისასო“, დასძენს თავის ზიზღს ბ. ბოცვაძე. ბ. ბოცვაძემ წერაკითხვა იცის; მაშ რამდენიმე საათის განმავლობაში მას შეუძლია, მთელი კრებული გამოაცხობს ამისთანა მოთხრობების. — მერე რა ეუუოთ, არ ევარგებო! გეპასუხებს ბოცვაძე. ეთქვათ, არ ევარგება, მაგრამ, ვინც რამდენიმე საათში უხვირო მოთხრობების მთელ კრებულს გამოაცხობს, ის ერთი თვის განმავლობაში ერთ ხეირიან მოთხრობას უსათუოთ დაწერს; „ჯეჯილი“ კი თვეში ერთხელ გამოდის, მასალაც არ ეჭარბება მაინცა და მაინც. ჩვენ გვეგონია, რედაქცია დიდ მადლობას გადაუხდელია ბოცვაძეს, რომ თვეში ერთი მოთხრობა მიეწვდინა ხოლმე „ჯეჯილისათვის“, მით უმეტეს რომ ეს მისთვის არაფითარ საძველო საქმეს არ უნდა შეადგენდეს, როგორც მისი სიტყვები ამუციცებს. მაგრამ დაეანებოთ ამას თავი და მიემართოთ ბოცვაძის აზრს საყმაწვილო მოთხრობების შესახებ. ბ. ბოცვაძე სამართლიანათ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „ბავშვები უფრო ხალისიანათ კითხულობენ იმ ადვილ გასაგებ მოთხრობებს, რომლებშიაც დიდებია გამოყვანილი“. ამის მიზეზათ ბოცვაძეს ორი გარემოება მიაჩნია. 1) ბავშვის ცბიერება ღარბია ფაქტებით, დიდის კი არა; 2) დიდს უფრო სრული და დამთავრებული ხასიათი აქვს, ვიდრე ბავშს. ჩვენ გვეგონია, რომ მიზეზი მხოლოდ პირველი გარემოება არის: ბავშვები თუ გატაცებით

*) ის. „კვალი“ № 14

კითხულობენ მაინ. რიღს, კუპერს, ჟულვერნს და სხვ. იმიტომ კი არა, რომ გმირები დიდი კაცები არიან და დამთავრებული ხასიათი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ამ ავტორების რომანები საესეა ისეთი ფაქტებით, შემთხვევებით და გმირების თავდადასავლით, რომლებიც ბავშვის ფანტაზიას მეტათ ჰხიბლავს და იტაცებს. მიეცით ბავშს ისეთი მოთხრობა, რომელშიაც პატარები მოქმედებენ, მაგრამ საყურადღებო ფაქტები ბევრია; მაშინ დაინახავთ, რომ ასეთ მოთხრობებს არა ნაკლები ყურადღებით წაიკითხვენ ბავშვები. დღეს თუ ეხედავთ, რომ ბავშვები უფრო ხალისი ანათ კითხულობენ ისეთ მოთხრობებს, სადაც დიდები არიან გამოყვანილი, იმიტომ რომ ძალიან ცოტა გვაქვს ისეთი მოთხრობები, რომლებშიაც მხოლოდ პატარები მოქმედებდნენ და ამავე დროს საყურადღებო ფაქტებიც ბევრი იყოს. ჩვენის აზრით პატარა ყმაწვილებისათვის ათ-თერთმეტ წლამდე იმდენათ საჭირო არ არის გმირის სრულით დახასიათება, რამდენათაც ცოცხლათ დაწერილი მოთხრობა, რომელიც ბავშს წაიხალისებს. იკითხავთ; რა საჩვენებლობას მოუტანს ბავშს ასეთი მოთხრობა? — ის არ გარდაქმნის ათი წლის ბავშს ფილოსოფოსათ, არ გადააქცევს მას ხორც შესხმულ ზნეობათ; სამაგიეროდ შეაყვარებს მას კითხვას, განუვითარებს აზროვნებას, ფანტაზიას, — ყოველივე ეს კი პატარა ბავშვისათვის მეტათ საჭიროა: სანამ ბავშს ლიტერატურით აღზრდიდეთ, მას უნდა შეაყვაროთ კითხვა და წაკითხულის შეგნებას და წარმოადგენს მიაჩვიოთ. ახლა მივმართოთ ბოცვაძის მიერ გალანძღულ „რა გვიყო ჭიკაძე-კონამაძე“-ს. შაქრო და ნიკო აპირებენ ჭიკაძე-კონის დანთებას. ჯერ მენახშირესთან მიდიან თიერს მოსაპარავათ, მაგრამ მენახშირე გაუგებს და ცემით გამოისტუმრებს ორივეს. შემდეგ მიმართვენ ჩალით საესე ბოჩკას, მაგრამ ბოჩკა დაუგორდებათ და წყალში ჩაყრის პატარა გმირებს. მიუხედავათ ბევრი სხვა დაბრკოლებისა შაქრო და ნიკო მაინც არ იტეხენ გულს და თავის მიზანს მიაღწევენ: ეზოში ჭიკაძე-კონას ანთებენ. მოთხრობა დიდი ნიჭითა და ხელოვნებით არ არის დაწერილი, ზოგ ნაკლებად ეხებას შეიცავს, მაგრამ არც უხანსი და უმზავსია: ბავშვი დიდი ყურადღებით წაიკითხავს მას ბოლომდის, რადგანაც მოთხრობა ცოცხლათ არის დაწერილი, ბავშვების ცელქობა-თავდადასავლია შიგ. მოთხრობა ნამდევლათ არის ამოღებული ცხოვრებიდან: ვინ არ ყოფილა პატარაობისას ცელქი? ვის არ მოხვედრია ამ ცელქობისათვის? შეიძლება, ბოცვაძე დაძინა ამ მოთხრობამ, ბავშს კი არ დაძინებს ისეთი მოთხრობა, რომელშიაც მათი საკუთარი თავდადასავლია აწერილი. გარდა ამისა ზნეობრივი აზრაც კარგი აქვს ამ მოთხრობას: მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა ბავშვებმა თავის მიზანს მიაღწიეს. ამგვარი მაგალითებით შევიძლიათ ჩაგონოთ ბავშსა, რომ ის დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს ხოლმე, ხოლო მიზანი ყოველთვის კეთილი უნდა იქონიოს და მისკენ მიისწრაფოდეს. მაგრამ დედა-აზრი თუ ავტორის მი-

ერვე არ არის ლექსის ან მოთხრობის ბოლოში მოთქმული, ბ. ბოცვაძე მის ახსნას არ დაგიდევს.

ივ. გამანთელი.
(შემდეგ იქნება).

ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს.
პატრონო გიორგია!

ზრად საყურადღებო კითხვას შევხვთ თქვენ წერილში: „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“. ევროპის ერთა ცხოვრებაში, სადაც სოციალურა პირობები ბევრათ უფრო რთულია, მრავალი საზოგადოებრივი კითხვები იზიდავს უმრავლესობას ყურადღებას; საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს სხვა-და-სხვა საკითხი გახლამია თავსატეხათ და თუ რაიმე ერთი ფაქტი, შემთხვევა გახდება ხოლმე საზოგადო ყურადღების ღირსი, საყოველთაო მსჯელობის, საპოლემიკო და სიტყვიერი კამათის საგნათ როგორც, მაგ., ამ ხანათ დრეიფტის საქმეა, ეს ფაქტი უთუოთ ტიპიური უნდა იქნეს, მასში თავმოყრილი უნდა იყოს ყველა კლასების ინტერესები. ერთი რომელიმე ბანკის შეთაურის არჩევა მთელ ერს ვერ შექცევს, ვერ გაიტაცებს, რადგან ბანკი ერის მხოლოდ ერთი ნაწილის ინტერესებს ემსახურება; მხოლოდ ეს ნაწილი ლებულობს მონაწილეობას ამ დაწესებულების ავ-კარგიანობის განსჯა-განკითხვაში, მხოლოდ ის ცხარობს და ხარობს, სხვები კი თავისთვის უფრო სანიტერესო საკითხს ატეხენ თავს. სულ სხვაა ჩვენში, სადაც შედარებით საზოგადოებრივი ცხოვრება მარტივია, ერის დანაწილება კლასსიურ, დაუმთავრებელ, გამოურკვეველ პროცესს წარმოადგენს, სადაც კლასსიური ინტერესები ერთმანეთს მედგრათ და ღია სახით არ წინააღმდეგებიან, სადაც საზოგადოება იმ ნივთიერებათა შერევის წაგავს, რომელიც რაც ხანი მიდის უფრო და უფრო გამოეყოფიან ერთმანეთს, რათა ბოლოს სრულიად ცალ ცალკე სივრცე დაიჭირონ. ამისთანა დროს, რასაკვირველია, ერთის ინტერესები მეორესაც თავისათ მიაჩნია, ერთისთვის სავალალო კითხვა მეორესაც თავის სავალალოთ გაუხდია. ამ შემთხვევაში ყოველთვის უფრო ინსტინქტიურათ მოქმედებენ, ვიდრე გარკვეული პროგრამით; გონიერულათ მოსაზრებულთ, კრიტიკულათ განსჯილი საქმიანობა აქ არ არსებობს, ინსტინქტი კი ყოველთვის შეუძცდარი შეგუების მომასწავებელი როდია, იგი ხშირათ ნამდვილ საქმეალებას გადაუხევეს და მრუდ გზაზე აყენებს. აი სწორეთ ეს არის, ჩვენის აზრით, მიზეზი, რომ საზოგადოების უმრავლესობა „ბანკობის“ შეუქცევია და გარეშე „კალისტრატისტობისა“, ანუ მისი „ოპოზიციისა“ ღარავის და აღარაფრის ცნობა არ სურს. რა თქმა უნდა ამისთანა დროს ნამდვილი ანალიზი ამნაირი პსიხოლოგიური მოვლენისა, თვით ამ დაწესებულებას — ბანკის ნამდვილი მნიშვნელობას აღნიშნით, შიგ მებრძოლთა ინტერესების გამოძეღვენებით, შეძლებს მხოლოდ ქვეყნარტების



გამორკვევას, სალი შეხედულების დადგენას. ამიტომ ჩვენც გვსურს რამდენიმე შენიშვნა მოვახსენოთ თქვენი წერილების შესახებ და დარწმუნებული ვარ „კვალის“ რედაქცია მცირე ადგილს არ დაიშურებს, რათა სხვებსაც მისცეს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება.

თქვენის აზრით უმთავრესი მიზეზი სულ ამ ბრძოლის, პარტიების გაჩენის, ის არის, რომ ბანკი წინეთ მსხვილი შემამულეების ხელში იყო და მას მმართველათ სწორეთ შესაფერი კაციც ჰყავდა ფეოდალური ინტერესების დასაცველათ, მხოლოდ დღეს, როდესაც წინანდელმა მებატონეებმა ფაქტიურათ ყოველივე უფლება დაჰკარგეს და ბანკი ვაჭარ-მრეწველთა საკუთრება გახდა, ამათ თავის შესაფერი მმართველიც მოძებნეს და ეს მმართველი კ. ჩიკვაიძეა; ეს არის ზედ გამოჭრილი მათი ინტერესებისათვის. 1) კ. ჩიკვაიძემ „მხოლოდ ალლო აილო, სად იყო ძალა და იქითვე გადავიდა, სულით გულით და ჯობითაც, მიეცედა ახალ აღორძინებულ კლასს, რომელსაც ოპოზიციის ინტელიგენციამ ურიგოთ ხელი ჰკრა და შეურაცხველი (!)... ამბობთ თქვენ, ბატონო გიორგი.

ჩვენ თითონ გერწმან და გვჯერა ის შეურყეველი ჭეშმარიტება, რომ ყველა ერთა და საზოგადოებათა ისტორია (რასაკვირველია არა პირვანდელი ხანის) სხვა-და-სხვა ფორმის კლასთა ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს და ამ საზოგადო კანონისათვის ვერც ჩვენ დაგვიღწევა თავი, ჩვენი საზოგადოებაც დაწინაურებულია სხვა-და-სხვა ელემენტებით, მასშიაც ვითარდება თანამედროვე კაპიტალისტური — კლასიური ანტაგონიზმი, მხოლოდ თქვენი აზრი ჩვენ მაინც შეცდომათ მიგვაჩინა და აი რატომ: რატომ კ. ჩიკვაიძე აირჩია ახლათ აღორძინებულმა კლასმა? ამაზე თქვენ გვიპასუხებთ: „ის (მრეწველ-ვაჭარი) მაგალითათ თუმცა დიდათ აფასებდა თ. კირილე ლორთქიფანიძის საქმიან და გონიერ ლაპარაკს ბანკის კრებაზე, მაგრამ როგორც გამგებელი არ უნდოდა: — ეგ, ბატონო, თავისი ბეჯერობით სულს ამოგვართმევს, ნედლიმკის შეტანას არ გვაკლის და დაგირავებულ უძრავ ქონებას სულ გაგვიყიდისო“, ამას ამბობდა ახლათ აღორძინებული კლასი ვაჭარ-მრეწველი წინააღმდეგ ოპოზიციისა, რომელიც მსხვილი შემამულეების ინტერესების დამცველნი არიან. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ როდების დარიგება შეგზოლიათ და ახლათ აღორძინებული კლასი სწორეთ იმას ამბობს, (თქვე-

ნი გადმოცემით), რასაც მსხვილი შემამულე უნდა ამბობდეს და ამბობს კიდევ ყოველთვის. მართლაც, საკმაოა ოდნავ მაინც ვიცოდეთ ეკონომიური ცხოვრების ვითარება და კლასიური ინტერესებზე წარმოდგენა გვეკონდეს, რომ ეს როლები შესაფერათ გავანაწილოთ. მიწათ მფლობელი, რომელმაც თავის სახით პატრიარქალური ცხოვრებიდან უნებურათ ფულის მეურნეობაში ამოჰყო თავი და თანამედროვე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მამულ-დედული ბანკებში დააგირავა, ყოველთვის გვიანი და ურავო გადამხდელია ნასესხი ფულის სარგებლს, რადგან ის ფულს არ ატრიალებს, არ ვაჭრობს (მაშინ ხომ ვაჭარი იქნებოდა); ბანკში სარგებლის შესატანათ ან მამულის შემოსავალს უნდა მოუტადოს ან ადგილი გაჰყიდოს; ეს კი ორივე მოგვიანებულ პროცესს წარმოადგენს და ამიტომ ხშირათ იმის მთხოვნიელი არიან: ვადა გაგვიგრძელებ, სული მოგვათქმევინე და სხვა. აი სწორეთ ესენი ამბობენ: „ეგ, ბატონო, თავის ბეჯერობით სულს ამოგვართმევს, ნედლიმკის შეტანას არ გვაკლის და დაგირავებულ უძრავ ქონებას სულ გაგვიყიდისო“. მხოლოდ ვაჭარი, რომელიც თანამედროვე ფულის მეურნეობის ღვიძლი შეილია, რომელიც ფულს ატრიალებს მხოლოდ იმიტომ, რომ სარგებელი მოატანოს, ამისთანა შიშით არ არის შეპყრობილი. ბანკი ვაჭარ-მრეწველისთვის საჭიროა იმიტომ, რომ იქ შენახული თანხის საშუალებით სული მოიბრუნოს, წარმოება თუ ვაჭრობა უფულობის გამო არ მიწყვიტოს; მას ეს ფული დროებით გამოაქვს იმ იმედით, რომ მოკლე ხანში ამ ფულით ფებს მოიმარებებს, ბანკის ფულის დატრიალებით საკუთარ დასატრიალებელ თანხას შეიძენს და მით თავისს ხელობას, საქმეს უფრო მსწრაფლ, დაუყოვნებლივ მსვლელობას მისცემს ე. ი. უფრო ადვილათ გადიდრდება. ვაჭარი რომ სესხულობს ყოველთვის დარწმუნებულია დანიშნული ვადისთვის ფულს დაბრუნებს, ბანკი ხელს უწყობს მრეწველ ვაჭარს, აჩქარებს ფულის ტრიალს. ასეთა საკრედიტო დაწესებულების მნიშვნელობა თანამედროვე მრეწველობაში. შეიძლება, ბატონო გიორგი, ვინმე შალომასაგან მართლაც გაგვეგონოსთ კ. ჩიკვაიძე უფრო ხალვათათ მოგვეპყრობათ და სხვ., მხოლოდ ვაჭარ-მრეწველი, როგორც კლასი, ამას არ იტყვის, რადგან ამნაირი აზრი ეწინააღმდეგება, როგორც სავაჭრო, აგრეთვე სამრეწველო კაპიტალის ტენდენციას. სიზანტე და უპირობა ფულის საქმეში ყოველთვის უფრო ნატურალური მეურნეობის წარმომადგენლებს შეჭფერისთ, ვიდრე ფულის მეურნეობისას, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში რწმუნება (кредитъ) არის ერთ-ერთი უპირველესი პირობა ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლათ. ჩვენ სწორეთ დარწმუნებული ვართ, რომ ის თვალთა ხედვითი ისარი, რომლითაც თქვენ შეიარაღებულხართ ამ კითხვის გადასაწყვეტათ, ნამდვილათ ჩვენ სიტყვებს მოწმობს და არა თქვენსას და თუ საჭირო შეიქნება ჩვენ ამას უფრო ვრცლათ საბუთებით დავამტკიცებთ. 2) ჩვენც გვჯერა

1) მე ასე აჩ მითქვამს. კლასიური მოქმედებას სხვა და შესაფერი მოთავის მოპოება კიდევ სხვა. შეიძლება, ეს უკანასკნელი აჩ იყოს „ხედვამოჭრალი მისი ინტერესებისათვის“, მაგრამ ამჩვეულთ ვი ასე აჩ გვჯერათ. შეიძლება თავის თავის, თავისი ინტერესების ძალიან მსკლია ახალ-აღორძინებულ კლასისათვის. ამას იგი თავის ისტორიულ განვითარებაში იკნს და აი ამიტომ, როგორც მეკლი ფეოდალები, ისე ახალ-ვაჭართა კლასი უკანკლია რამდენიმეთ ცდებდა და ცდებთან თავის მოთავის აჩ-ჩეკაში. მხოლოდ ერთი ვი უკანკლი, რომ დადინი უფრო პირველს კმწრბოდა და ჩიკვაიძე მეორეს.

2) აჩ ეს არის ასე. ვერ ერთი რამ ჩეკებუნი პურყუასის ჩვილი და განვითარებულის და, აი, სწორეთ

ნია, რომ კლასთა ინტერესების შეჯახება არსებობს ქუთაისის საადგილ-მამულთა ბანკში, უჭველია ისიც ჩვენთვის, რომ ახლათ აღორძინებულმა კლასმა მოიღვა ფენი შიგ, მხოლოდ კ. ჩიკვაძის გამარჯვება კლასსიური ინტერესების გამარჯვებით არ აიხსნება და, თუ თქვენ წინააღმდეგს დაგვიმტკიცებთ ე. ი. რომ კ. ჩიკვაძე არჩეულ იქნა ახლათ აღორძინებულ კლასსს წყალობით თავისი ინტერესების დასაცველათ, მაშინ მე მოგახსენებთ, ბატონო გიორგი, რომ ამ ახლათ აღორძინებულ კლასს ვაჭარ-მრეწველთა ძლიერ ცუდათ სმენიათ თვისი ინტერესები, მათ არა ცოდნიათ თავისი „მე“-ს დაცვა, რაც კლასსიური ბრძოლის პრინციპს ეწინააღმდეგება. 3) „რატომო? მკითხვეთ თქვენ. სწორეთ იმიტომ, რისთვისაც თქვენი აზრით კ. ჩიკვაძე ამოირჩიეს, იმ გულგრილობისთვის, რომლითაც მას უნდა ეხელმძღვანელნა ბანკის საქმეებს წარმოების დროს ახლათ აღორძინებული ვაჭარ-მრეწველი კლასის აზრით. ბანკის საქმეების ანაირო წარმოება სრულიად ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს, როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ კი გვეგონა, ბნო გიორგი, რომ კ. ჩიკვაძის არჩევა სრულიად გონიერული ტაქტიკის, კლასსიური ინტერესების შეჯახების პირდაპირი შედეგი არ ყოფილა: ჩვენში კლასსიური ინტერესები, ეიმეორებ, ისეთი გამოურკვეველი და გაუშინჯავი რა არის ახლათ აღორძინებული კლასის წარმომადგენელთათვის, რომ ყოველად შეუძლებელია ეროპის სრულიად გამორკვეულ, კრიტიკულათ მოაზრე და მოქმედ კლასსთა წარმომადგენელთ შევადაროთ. 4) საკმაო აღვნიშნოთ ეს ფაქტი, რომ ვაჭარ მრეწველთა და წვრილ მესაკუთრეთა შორის არა ერთი და ორი მსხვილი მესაკუთრეებიც უნდა კ. ჩიკვაძის ამომრჩეველთა შორის, რომ გადაჭრით ერთვით აქ ნამდვილი

ახლა საჭიროებს ის ყოველნიერ სადავას, წახალისებს, ხელის გაწეობას და სს., რომ თვისი მოადგას და გაძლიერდეს. იმიტომ ის ახლა ისე იტყვის როგორც მე მაქვს მოგახანდი, ხოლო როცა გაძლიერდება, მაშინ ისე იტყვის, როგორც თქვენ ამბობთ. შეიძლება, განა ჩვენ იმას ვამბობთ რომ ფეოდალები აღარ საჭიროებენ სადავას! სრულიად არა, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას რომ დადანი ამათ უფრო უწყობდა სელს, ხოლო ჩიკვაძისე ვი შირველთ, რ.საკვირვებია, რაივე ამ შირთათვის ეს იყო სასხარი, საშუალება მათი გულის მოსაგებათ და თავის მიზნისათვის გამოსაყენებლათ. გ. წ.

3) სწულდებიანაც რა ეწინააღმდეგება; შირიქით, სწორეთ მაშინ ეწინააღმდეგებოდა, რომ ეს სსკანაიწათ ყოფილიყო (იხ. შ.ჩ. 1.). ამას გარდა ჩვენ არ გვითქვამს, რომ მხოლოდ ახლა-აღორძინებულ კლასის წყალობით იქმნა ჩიკვაძე ჩიკვაძე. მის შარტიში ბუკრია სსკა კლასიდანაც, მაგრამ ესენი არ შეადგენენ მთავარ ძალას შარტიისას. გ. წ.

4) მართალია ჩვენი კლასები ჯერ არ არიან ისე გაგებული, როგორც ევროპაშია. მაგრამ განა ეს საბუთია იმის, რომ აღარც კლასები გვაკვდეს? ნუ თუ გვინათ, რომ ან ევროპიულათ შეგნებული კლასი უნდა გვაკვდეს, ან და სულ არა? სალარნი ღოღივას. გ. წ.

კლასსიური ინტერესების დაცვა არ არის, მის ნამდვილი წარმომადგენლის არჩევას არ წარმოადგენს კ. ჩიკვაძის არჩევა. უჭველია, რომ ამისთანა გამოურკვეველ პირობებში ყოველნიერ ხერხს, ურიგო აგიტაციას ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ გვაკირს, ბატონო გიორგი, თქვენ რათ გენამუშებთ, რათ გაწუხებთ ნ. ნიკოლაძის მანვილი ფრაზა: **КОЛЬ ИСТРАТИТЬ, ПРОИДЕШЬ?! 5)** დასასრულ ერთი რამ კიდევ მინდა გკითხოთ, ბატონო გიორგი! სხვათა შორის თქვენ ამბობთ: ჯიბითაც მიეცედა (კ. ჩიკვაძე) ახლათ აღორძინებულ კლასს, რომელსაც ოპოზიციის ინტელიგენციამ ურიგოთ ხელი ჰქრა და შეურაცხყო „... როგორც ჰგავს თქვენთვისაც გული-უტყენია ამ ხელის კერას 6), ბატონო გიორგი, მაგრამ მითხარით რაგორ მოგათავსოთ ერთათ: ერთის მხრით ცნობილი მეცნიერის სწავლა კლასსიურ ანტოგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახანეთ და მეორე მხრით თქვენივე მთარეელობითი კოლო „ახლათ აღორძინებულ ვაჭარ-მრეწველის კლასის“ შესახებ? 7).
ს. წულუკიძე.

5) მეჩე სად მოგახსენეთ, რომ მე „მასკილი“ ფრაზა მსწუხებს — მითაი?.. არჩევის დროს ქრთამს და ხესსს, წასაკვირვებია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ერთი და იმავე სახეობივი მოკლეხის ასსხა ქრთამით და ემპაჯობით. — ეს აუხსენებლბას ნიშნავს. თუ ვი ყველაფერი ქრთამით აისსნება, მაშინ აუხსენელი რჩება დადაინის დამარცხება, რომელიც, როგორც იცით, ჩიკვაძისე არა ნაკლები ქრთამს საჭაჭა და ვიდევ მეტსაც; თანაც ამდენი გავლენიანი და განათლებული შირი მოამსრეობდა მას. ვიდევ ვაქორება, აქ დამარცხების, თუ გამარჯვების დედა-მარცხი ქრთამში არ მდგომარეობს (დეე ამით ქუთაისის რაზონცამ თავის თავი ატყუოს), ანამედ იმ კლასიურ შეჯგუფებაში, რაიც ბანკის სსმარეზე მოხდა. ეს არის საერთო საძირკველი, საერთო სტენა და ამასე თამაშობენ შარტიები. გ. წ.

6) გული მაშინ მეტყინებოდა, ამ შუათანა „ტეტიანის მოკრთვილი“ და ფეოდალთა მხარის დამტყინთ თარბის რომ მოძღვრებოდა რამე: ან ვოქვათ მათი ხეხის ინსინტრატრობისა, ან მათი „იკვრის“ დამქმობა, ან მათი დაუხარმელი შრომაგანდა „კვალის“ წინააღმდეგ, ან მათი შეუგნებლობა. ჩემთვის ვი არ უტყინია გული, ანამედ ახლა აღორძინებულ კლასს ატყინა გული და მით ის ჩიკვაძისეკენ გადაავდო. გ. წ.

7) აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ძველ დრო გადასულ წუობილები წინააღმდეგ ახალ წუობილებას რომ ვიცავდი ეს ეწინააღმდეგებოდა ვი არა, ეთანასქება თვით ემო-დვრკიას. დასასრულ ერთი რამ უნდა გარჩიოთ. თქვენ, როგორც ახალი ვაჭრი, კრიტიკული თვლით უნდა უყურებდეთ იმ ხალხის მოქმედებას, რომელიც დღეს ჩვენში შირი ღობას ჩემობს. მხოლოდ მაშინ შეკვალბათ დამოუკიდებლათ მსჯელობას და საკუთარი გზის გაკვლევა. ხოლო განმეორება იმ ფრაზების, რითაც განახანია ურს კვიტელებ — ეს არ უნდა იყოს ახალი თარბის სელობა. გ. წ.

რედქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.